საპროექტო ტერიტორიის და ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, ქეთევან დედოფლის პროსპექტი №16



საპროექტო მოცულობა, ხედი ქეთევან დედოფლის პროსპექტიდან, 2019წ.



შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი;

შ პ ს
„ძველი უბანი“
თბილისი
აგვისტო
2019

საპროექტო ტერიტორიის აღწერა

ახალმშენებარე ობიექტის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილის უბან – გარეთ ავლაბარში (ისნის რაიონი), **ქეთევან დედოფლის პროსპექტზე – №16.** საპროექტო ადგილზე დგას ერთსართულიანი ნაგებობა. იგი შედის მის გვერდით მდგომი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ორსართულიანი ნაგებობის (ყოფ. გრენადიორთა საყაზარმო შენობა, რომელიც აღრიცხულია არქიტექტურულ ძეგლად. ძეგლთა სიაში იგი №14-ია). საკადასტრო ნაკვეთის (№01.17.01.108.012) ფარგლებში. თუმცა, არ წარმოადგენს ამ არქიტექტურული ძეგლის ღირებულ ნაწილს.

ეს უბანი ავლაბრის მოედანის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა. ქეთევან დედოფლის პროსპექტი ავლაბრის მოედანთან იწყება და მტკვრის დინების მიმართულებით სამხრეთ-დასავლეთიდან შემოფარგლავს ავლაბარს. თავდაპირველად საპროექტო შენობასთან, გრძივი ფასადის უკან, გადიოდა ქუჩა – ე.წ. ყუბის შესახვევი (იხ. აქვე ისტორიული გეგმა), რომელიც შემდგომ შეიკრა და გადაიქცა ყაზარმის ეზოდ.



1902წ. გეგმა



აეროფოტო 2014წ.

საპროექტო ადგილი

საპროექტო ობიექტი ბოროდინის ქუჩის დასაწყისთან დგას, საავიაციო უნივერსიტეტის ღობის კუთხეში, ეზოში შესასვლელ ჭიშკართან.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

საპროექტო ადგილი

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკონსტრუქციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო
- ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვარი

საპროექტო ობიექტი №16 უსტატუსო ნაგებობაა
ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საავიაციო უნივერსიტეტი – ქეთევან დედოფლის პრ. №14;
საცხოვრებელი სახლები – ქეთევან დედოფლის პრ. №20, 22, 23, 25;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბნის განაშენიანება ჩამოყალიბდა კახეთის გზის გასწვრივ. ქეთევან დედოფლის პროსპექტი კახეთისკენ მიმავალ ამ გზაზე ჩამოყალიბდა და ამ უბნის ღერძად გადაიქცა. (იხ. მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული გეგმები).

ავლაბარის ურბანული განვითარება დაიწყო XVII ს-ში, როდესაც როსტომ მეფემ აქ ყმა-გლეხები ჩამოასახლა წოდორეთიდან. ეს გარემოებაა ასახული ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზე (1735 წ.), სადაც ავლაბარი უკვე დასახლებული ჩანს. განაშენიანების საზღვრები აქ მიჰყვება ბუნებრივ-გეოგრაფიულ მოცემულობებს და იმავე პრინციპით იკვეთება ქუჩებისა და კვარტალების ჩანასახები. თუმცა ქუჩათა ქსელი იმ დროისთვის ჯერ კიდევ ამორფული და ეფემერულია და არ აქვს ჩამოყალიბებული სახე.

1770-იან წწ. დარეჯან დედოფალმა გალავნით შემოზღუდა მეტეხის ციხის ზედა ნაწილი და გალავნის კედლის იქითა ტერიტორიას ამის შემდეგ გარეთ ავლაბარი ეწოდა.

1802 წელს ავლაბარი ადმინისტრაციულად ქალაქს შეუერთდა, მაგრამ ეს უბანი კიდევ დიდი ხნის მანძილზე გარეუბნად მოიხსენიებოდა. თბილისის იმდროინდელ გეგმებზე გალავნით შემოზღუდული შიდა ავლაბრის ქუჩების ქსელი მოწესრიგებული ჩანს, გარეთ ავლაბრის ქსელი კი კვლავ ამორფულია.

XIX ს-ის I მეოთხედში რუსეთის მმართველობამ გარე ავლაბარში ააგო ყაზარმები და გადაწყვიტა იქ სამხედრო დასახლების მოწყობა. ეს გარემოება ასახულია თბილისის 1831 წლის გეგმაზე, სადაც უკვე არსებულ ქუჩათა ქსელზე, დაპროექტებულია მართკუთხა კვარტალები – ოფიცერთა და ჯარისკაცთა ყაზარმებით, სამხედრო საწყობებით და მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლებით. ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა და ქუჩათა ქსელი თვითდინებით განვითარდა.

XIX ს-ის 40-იან წლებში ეს ტერიტორია კახეთისკენ მიმავალი გზის დასაწყისს წარმოადგენდა და აქ მდებარეობდა ე. წ. კახეთის საგუშაგო. ამავე პერიოდში აქ, კახეთის გზის გარდიგარდმო აშენდა ქალაქიდან გამავალი ჯარის ნაწილების ყაზარმები.

XIX საუკუნის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს თუ როგორ ყალიბდებოდა ავლაბრის ქუჩათა სტრუქტურა. ჩვენთვის საინტერესო უბანში (გარე ავლაბრის მარჯვენა ნაწილი) თბილისის 1844წ-ის გეგმაზე, ქუჩები ჯერ კიდევ არ არის დაკვალული. 1867წ-ის გეგმაზე კი ქუჩების ქსელი თითქმის საბოლოო სახითაა ჩამოყალიბებული.

ქუჩების პერიმეტრები აქ თანდათან ივსებოდა წინასწარ დაპროექტებული ორ, იშვიათად, სამსართულიანი საცხოვრებელი სახლებით და იქმნებოდა სხვადასხვა მოხაზულობისა და ზომის ურბანული კვარტალები.

XX ს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება. XX ს-ის 20-იანი და ძირითადად 50-60-იან წლებიდან ავლაბარში იწყება მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლების და დაწესებულებების მშენებლობა. თუმცა, გარკვეულწილად მაინც შენარჩუნებული იყო 1-2 სართულიანი განაშენიანებაც.

- *განაშენიანების სტრუქტურის განვითარება*



XXს-ის დასაწყისის ფოტო
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

ავლაბრის ამ ნაწილის განაშენიანება დაიწყო კახეთის მოედნიდან (დღეს ავლაბრის მოედანი), კახეთის გზისა და მახათას მთის მიმართულებით და დაიქსელა სხვადასხვა კუთხით ურთიერთგადაკვეთილი ქუჩებით. განაშენიანება ვითარდებოდა ოდნავ დაქანებულ რელიეფზე და ეს აისახებოდა მის სტრუქტურაზე. ქუჩების პერიმეტრზე განაშენიანებამ თანდათან მწკრივული ხასიათი შეიძინა, კვარტალების შიგნით კი, როგორც წესი, დაცული იყო თავისუფალი მოხაზულობის შიდა ეზოების სტრუქტურა.

- *ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება*

ქეთევან დედოფლის პროსპექტი ჩაისახა XIX ს-ის შუა ხანებში და უკვე დაპროექტებული ჩანს ამავე პერიოდის თბილისის გეგმებზე. თავდაპირველად ეს იყო კახეთის გზა. 1867წ. გეგმაზე კახეთის ქუჩა ეწოდება. 1920-იანი წწ-დან ეწოდებოდა შაუმიანის სახელი. 1990-იანი წწ-დან ეწოდა ქეთევან წამებულის პროსპექტი. 2005წ-დან კი ქეთევან დედოფლის პროსპექტი.

XIX ს-ის შუა ხანებშია ჩასახული უბნის მიმდებარე ქუჩებიც:

I ხაზოვანი ქუჩა – 1876წ. გეგმაზე;
ნუხის ქუჩა – 1902წ. გეგმაზე;
ბოროდინის ქუჩა – 1960-იანი წწ. და დღემდე;

II ხაზოვანი ქუჩა – 1876წ. გეგმაზე;
ყუბის ქუჩა – 1902წ. გეგმაზე;
კროპოტკინის ქუჩა – 1924წ. გეგმაზე;
იზაშვილის ქუჩა – 2001წლიდან და დღემდე;

მასლოვის ქუჩა – 1876წ. გეგმაზე;
შემახის ქუჩა – 1902წ. გეგმაზე;
სტალინგრადის ქუჩა – 1945წლიდან;
სართიჭალის ქუჩა – 1958 წლიდან და დღემდე;

უბნის ქუჩების განაშენიანების სტრუქტურა

უკანასკნელ ხანს ამ უბანში მოხდა ისტორიული განაშენიანებისთვის შეუსაბამო მსხვილმასშტაბიანი მშენებლობა, რამაც დაარღვია ქუჩების მასშტაბი და ხასიათი. ამის ნათელი მაგალითია რვასართულიანი კორპუსი ავლაბრის მოედანზე.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ამ მიკროუბანში სადაც არ მომხდარა ტოტალური ჩარევა არსებულ განაშენიანებაში. უნდა აღინიშნოს, რომ იქვე 1950-იან წლებში პროსპექტზე აგებული „სტალინური არქიტექტურის“ ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი კარგად ჩაეწერა პროსპექტის განაშენიანებაში და ადაპტირებულია გარემოსთან.



რვასართულიანი კორპუსი მოედანზე



ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი №12



ქეთევან დედოფლის პროსპექტი საავიაციო უნივერსიტეტთან, 2019წ





ყოფ. საყაზარმე შენობები №25

ქეთევან დედოფლის პროსპექტი ამ ადგილას საკმაოდ ფართოა და განაშენიანებულია სათანადო მოცულობის ნაგებობებით. აქ დგას საავიაციო ინსტიტუტის ორსართულიანი წაგრძელებული ნაგებობა. მის გვერდით ახალად ნახსენები ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლია №12. მოპირდაპირე მხარეს კი ყოფილი საყაზარმე შენობის №25 და სკოლის სამსართულიანი მოცულობები №23.



ბოროდინის ქუჩის დასაწყისი, 2007წ



სართიჭალის ქუჩა, 2007წ

ბოროდინის ვიწრო და და ოდნავ მორკალური ქუჩა იწყება ქეთევან დედოფლის პროსპექტთან, გადაკვეთს სართიჭალის, ძმები ხერხეულიძეების, ი. ფაღავას ქუჩებს და მცირე შემაღლებით უერთდება წურწუმიას ქუჩას. ძირითადად აქ ორი, აქა-იქ სამსართულიანი სახლებია აგურით ნაგები ფასადებით.

ქუჩის დასაწყისში, ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის და საავიაციო ინსტიტუტის მოზრდილი კორპუსის შემდეგ განაშენიანების სიმაღლე იკლებს და ძირითადად ერთ-ორსართულიანი სახლებია.

ქუჩის განაშენიანების ნაგებობათა უმრავლესობა არაფრით არ არის გამორჩეული. საინტერესო არქიტექტურული სახე აქვთ ორსართულიან საცხოვრებელ სახლს სართიჭალის ქუჩის გადაკვეთასთან.

ანალოგიური სახე აქვს **სართიჭალის ქუჩის** განაშენიანებას. აქაც ძირითადად ერთ-ორსართულიანი დაბალი არქიტექტურული ღირებულების განაშენიანებაა. გამოირჩევა სახლები №№11,13 და 25 აგურის შეულესავი ფასადებით.

ამ ქუჩებისთვის დამახასიათებელია, ზოგადად ავლაბრისთვის ჩვეული, განსხვავებული მასშტაბის განაშენიანება კვარტალშუა და კუთხის მონაკვეთებისათვის. აქ ძირითადად აქცენტირებულია ქუჩათა გადაკვეთის კუთხეები. კვარტალების შუა მონაკვეთების ნაგებობების მასშტაბი მცირეა და განაშენიანებაც გამეჩხერებული. ეს პრინციპი შედეგი უნდა იყოს არა წინასწარ გათვლილი დაგეგმარებისა, არამედ ჩამოყალიბდა გარკვეული გარემოებებით.

- *განაშენიანების ხასიათი*

ფასადების მხატვრულ სახეს განსაზღვრავს აგურის წყობით გამოყვანილი სარკმელთა სათაურები, სარტყლები, ლავგარდნები და აგურისავე ფერი. ნაგებობების განსაზღვრული ნაწილი შებათქაშებულია და აგურის წყობის სახეები ნალესობით არის გამოყვანილი.

აქ ნაკლებად გვხვდება XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თბილისისთვის უბნებისთვის ჩვეული და დამახასიათებელი ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული მოტივები (ანტიკური ორდერების დეტალები და ა. შ.). ზოგი გამონაკლისის გარდა, აქ პრაქტიკულად არ შემოუღწევია არც მოდერნის ელემენტებს.

უბანში საკმაოდაა დანგრეული სახლები. შემორჩენილები ძლიერაა დაზიანებული და დამახინჯებულია. ნაგებობათა უმეტესობა არაღირებულია, და ქუჩის განაშენიანება დეგრადირებულია გვიანდელი, უსახო მცირე მოცულობებით.

სარეკონსტრუქციო ნაგებობა

საპროექტო ტერიტორიაზე დგას უკანასკნელ წლებში აშენებული ერთსართულიანი ნაგებობა, რომელიც მოკლე გვერდით მიდგმულია ქეთევან დედოფლის პროსპექტის მხარეს მოწყობილი ჭიშკრის გვერდით ფლანკირებულ მართკუთხა მოცულობაზე, ხოლო გრძივი გვერდით ბოროდინის ქუჩის შემომსაზღვრელ ღობე-კედელზე. ეს დამხმარე ნაგებობა აქ ადრეც იდგა (როგორც ეს ჩანს ძველ ტოპოგეგმებზე), შემდეგ მოშალეს და კვლავ გამართეს 2010-იანი წლების დასაწყისში.



ხედი ბოროდინის ქუჩის გადაკვეთასთან, 2019წ.



ხედი ბოროდინის ქუჩის გადაკვეთასთან, 2007წ



ხედი ბოროდინის ქუჩიდან, 2019წ



ხედი ეზოდან, ნაგებობა არ დგას, 2007წ



ხედი ეზოდან, ნაგებობა დგას, 2019წ

ეს არის მარტივი სახის, წაგრძელებული მართკუთხა ნაგებობა ნალესი კედლებით და თარაზული გადახურვით. აქ თავდაპირველად უნდა მდგარიყო კვადრატული გეგმის მცირე მოცულობა, ერთგვარი საყარაულო ჯიხური ჭიშკართან. ახლად გამოცვლილი ჭიშკრის გარდა შესასვლელი მოწყობილია ბოროდინის ქუჩის კუთხესთან. ქეთევან დედოფლის პროსპექტისკენ ნაგებობის გალესილ კედელში მოგვიანებით გამოჭრილია მოზრდილი მართკუთხა ცხაურიანი ღიობი. შესასვლელები და სარკმლები აქვს ეზოს შიდა მხრიდანაც.





ხედი ჭიშკრისკენ

საპრეკონსტრუქციო ნაგებობა ჩრდილოეთიდან, 2019წ





საპრეკონსტრუქციო ნაგებობის ინტერიერი, 2019წ

ნაგებობის ინტერიერი დაყოფილია რამდენიმე ოთახად. აქვს მარტივი ტიპის მართკუთხა კარები და სარკმლები. შენობას არ გააჩნია არავითარი მხატვრული ღირებულება. ნაგებობის კუთხესთან შერჩენილი ლითონის ჭიშკარი რამდენიმე წლის წინ არის მოწყობილი, უფრო ადრინდელი ცხაურიანი ჭიშკრის ნაცვლად.





ტოპოგეგმა 1970-იანი წწ.

აეროფოტო 2001წ

1970-იანი წლების ტოპოგეგმაზე აღბეჭდილია ვიწრო ნაგებობა. 2001 წლის აეროფოტოზე კი, ნაგებობა იმავე ადგილზე აღარ დგას.

დასკვნა და რეკომენდაციები:



ხედი მთაწმინდიდან, 2019წ

სარეკონსტრუქციო ნაგებობა დგას დღევანდელი „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ ყოფილი გრენადიორთა ყაზარმის ეზოში, რომელიც აღრიცხულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად. ეს ძეგლი გამოირჩევა თავისი ეპოქისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-არქიტექტურული ნიშნებით – ამ ფუნქციის ნაგებობებისათვის დამახასიათებელი კლასიცისტური სიმეტრიული საფასადო სტრუქტურითა და სტილით. გრძივი ფასადი ფლანკირებულია ფრონტონებით დასრულებული ფლანგებით და ცენტრში აქცენტირებულია თხელი, ჭვირული კარტუშით. ორქანობიანი გადახურვის ქვეშ მოქცეული ფასადების ორთავე სართული დასახსრულია მრუდწრეთარგიანი ფორმის მარტივი სარკმლებით და თხელი პილასტრებით. სამწუხაროდ რამდენიმე წლის წინ მოხდა ფასადის არასწორი რეაბილიტაცია, რის გამოც მას დაეკარგა თავდაპირველი სახე.



2007წ



2019წ

თავად სარეკონსტრუქციო ნაგებობა კი, რომლის დიდი ნაწილი რამდენიმე წლის წინ არის აგებული მარტივი ტიპის სტრუქტურაა და არ გააჩნია არავითარი არქიტექტურული ღირებულება. გამომდინარე ამ ვითარებიდან და უნივერსიტეტის საჭიროებიდან, შესაძლებელია მიღებული იქნეს ამ ნაგებობის რეკონსტრუქციის გადაწყვეტილება და ახალმშენებლობა. თუმცა მნიშვნელოვანია ამ უბნის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ისეთი ნაგებობის აგება, რომელიც შეესაბამება უბნის ხასიათს, გვერდით მდგომ არქიტექტურულ ძეგლს და უმტკივნეულოდ ჩაეწერება უბნის ისტორიულ განაშენიანებასა და ძეგლის ერთიან საკადასტრო ნაკვეთში. კერძოდ მხედველობაში უნდა გვქონდეს შემდეგი გარემოებები:

- გათვალისწინებული უნდა იქნეს და არ უნდა დაირღვეს უბნის ერთიანი მასშტაბი. ამავე დროს, ვინაიდან ირგვლივ არსებული შენობები საკმაოდ მოცულობითია, შესაძლებელია სარეკონსტრუქციო ნაგებობაზე დიდი გაბარიტის მქონე სტრუქტურის დაპროექტება. ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ იქვე დგას არქიტექტურული ძეგლი და ახალი ნაგებობა მასზე მოზრდილი არ უნდა იყოს;

- სასწავლო ნაგებობას უნდა ჰქონდეს მისი ფუნქციისათვის დამახასიათებელი სპეციფიური არქიტექტურული სახე, რაც მთლად შორს არ არის ყაზარმული არქიტექტურის ესთეტიკიდან. ამიტომ, სასურველია არსებული კორპუსის და ახლად ასაშენებელი მოცულობის ერთგვარი არქიტექტურული უნისონის მიღწევა;

- ახალი მოცულობების ფასადების მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება მკვეთრად არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის და ძეგლის ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას და ნეიტრალურ „ჩამქრალ“ ფერებს;

- თუმცა, შესაძლებელია, ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებთან კონტექსტში;

- სასურველია საპროექტო ნაგებობის გადახურვა არ იყოს მთლიანად თარაზული. გარკვეულ მონაკვეთებში სასურველია მას ჰქონდეს ქანობიანი დასრულება, რაც იქვე მდგომი ძეგლის სტრუქტურისთვისაც იქნება შესაბამისი და ამავე დროს შესაძლებელი იქნება ამ ქანობებში სავენტილაციო და სხვა სპეციალური დანადგარების კომუფლირება;

- ახალ მოცულობას უნდა ჰქონდეს ფონური ხასიათი რაც არ შეუშლის ხელს არქიტექტურული ძეგლის გრძივი და გვერდითი ფასადების სრულფასოვან აღქმას;

- შესაძლებელია მოგვიანო ხანს გადაკეთებული ჭიშკრის მოხსნა, ოღონდ სასურველია ძეგლის წიბო ღობის ვიწრო სეგმენტით დასრულდეს;

- სასურველია ფოტომონტაჟები ახლო და შორი ხედებით როგორც ქეთევან დედოფლის, ასევე ბოროდინის ქუჩიდან და ასევე სასურველია, რომ არსებული და საპროექტო მდგომარეობა მოცემული იყოს ერთი და იგივე რაკურსიდან;

- გასათვალისწინებელი იქნება ასევე მშენებლობის ხარისხიც;

- სასურველია მიმდებარე ტერიტორიის კეთლმოწყობა და მისი გადაგეგმარება უბნის რელიეფისა და ტრადიციული სივრცობრივ-გეგმარებითი მოცემულობების გათვალისწინებით.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
17. 08. 2019წ